

საზოგადოებრივი მაუწყებლის  
2022 წლის IV კვარტლის



**ანგარიში**



## ახალ ზენობაში გადასვლის გეგმის ფარგლებში შესრულებული სამუშაო - IV კვარტალი

კვარტლის განმავლობაში განხორციელდა მოცულობითი სამუშაოები ახალი ზენობის საინჟინრო ინფრასტრუქტურის დეველოპების და განხორციელების კუთხით - ენერჯო მომარაგების, უწყვეტი დენის მომარაგების, სასერვერო კლიმატური პირობების, ქსელური ჰასიური და აქტიური ინფრასტრუქტურის და სხვა მიმართულებებით.

დაიგეგმა ძველ ზენობაში არსებული აპარატურის და სისტემების საინჟინრო-ტექნიკური აღრიცხვის სამუშაოები, ახალ ზენობაში გადასვლის ტექნიკური გეგმის შედგენის ფარგლებში.

## ახალი ამბების ავტომატიზაციის და ოპტიმიზაციის ფარგლებში შესრულებული სამუშაო - IV კვარტალი

2022 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში ხორციელდებოდა ახალი ამბების, მაუნყებლობის ავტომატიზაციის და პროდაქშენის წარმოების ტექნიკური საშუალებების მართვა და მონიტორინგი, არსებული სამუშაო პროცესების დაჩქარებისა და ოპტიმიზაციის მიზნით. განხორციელდა კორექტირება და ახალი სქემების დანერგვა, ასევე, ახალი ამბების სამონტაჟო სისტემების ქსელური დაერთებების სიჩქარეების მნიშვნელოვანი გაზრდა ოპტიკურ ბოჭკოვანი ინტერფეისებით.


განხორციელდა ახალი ამბების, პროგრამების და აუდიო არქივების მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია და მათი სასერვერო ინფრასტრუქტურის მიგრაცია ახალ აპარატურულ და პროგრამულ პლატფორმებზე. ჩატარდა არქივის ციფრული მედია ასეტების ინვენტარიზაცია და სანახი მასივების სტრუქტურული ოპტიმიზაცია. მედია ასეტები დამიგრირდა ახალ სანახებში და მოწესრიგდა ფაილური სტრუქტურები. მოხდა ახალი ამბების მედია ფაილების ბექაფ-ასლების შექმნა არსებულ სთორიჯებზე.

დაიწყო ახალი ამბების და პროგრამების არქივების მონაცემთა ბაზების მეტამონაცემების ძირეული რესტრუქტურისა და 15 წლის განმავლობაში დაგროვილი ადამიანური და სისტემური ხარვეზების გამოსწორება. კერძოდ, გამოვლენილ იქნა და გამოსწორდა ასობით ათასი ჩანაწერების სინტაქსური შეცდომები, რამაც გაასწორა მეტამონაცემების და ფაილური რესურსების ურთიერთ ბმები. ამ სამუშაოსათვის შეიქმნა რამდენიმე სპეციალური უტილიტა და დაიწერა მრავალრიცხოვანი სპეციალიზებული სასერვერო და მაღალი დონის ენების კოდი, მათ შორის, გამოყენებულ იქნა AI ტექნოლოგიები. სამუშაოების შედეგად არქივის მასალების ძებნის ეფექტურობა და სიზუსტე მნიშვნელოვნად გაიზარდა და დაჩქარდა. ეს სამუშაო გაგრძელდება 2023 წლის განმავლობაში, რათა მონაცემთა ბაზები და მედია რესურსები მზადყოფნაში იქნას მოყვანილი დაგეგმილი გრძელვადიანი საარქივო სისტემაში მიგრაციისათვის.



## პირველი არხი - შინაარსობრივი მიმართულებები - მეოთხე კვარტალი

პირველი არხის ეთერი - პროცენტული გადანაწილება ბადის პროგრამირებისას, მიმართულებების მიხედვით.



## კონფერენცია - კონსტრუქციული ახალი ამბები

დანიის კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ინსტიტუტის დამფუძნებლის, ულრიკ ჰააგერუპის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, თბილისში კონფერენცია „კონსტრუქციული ახალი ამბები“ გაიმართა.

<https://bit.ly/3ikNhcW>

## თინათინ ბერძენიშვილმა ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენდერული თანასწორობის ჯგუფის შეხვედრა გახსნა

ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) გენდერული თანასწორობის ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა თინათინ ბერძენიშვილმა გახსნა.

<https://bit.ly/3DA2FKW>

## კონტრაქტი კომპანიასთან „თბილი სახლი“

თინათინ ბერძენიშვილმა და კომპანია „თბილი სახლის“ დირექტორმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომელიც პირველი არხის ახალი შენობის ელექტრომექანიკური საინჟინრო სამუშაოებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

<https://bit.ly/3CoVjte>



## პირველი არხის საფოსტო მარკის პრეზენტაცია

ტელემაუწყებლობის 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პირველი არხის საფოსტო მარკის პრეზენტაცია გაიმართა.

<https://bit.ly/3Zel1sj>

## 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველმა არხმა მაყურებელს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ექსკლუზიური ტრანსლაცია შესთავაზა.

<https://bit.ly/3Zel1sj>

## რაგბიში ქალთა მსოფლიო თასი

ისტორიაში პირველად, პირველი არხი რაგბიში ქალთა მსოფლიო თასის მატჩებს სთავაზობს მაყურებელს.

<https://bit.ly/3TIGlnN>

## პირველ არხზე ვოისი დაიწყო

8 დეკემბრიდან მუსიკალური შოუ „ვოისი“ დაიწყო.

<https://bit.ly/3X2rDcC>

## საბავშვო ევროვიზია 2022

საქართველოს წარმომადგენელი მარიამ ბიგვავა საბავშვო ევროვიზია 2022-ის კონკურსზე მესამე ადგილზე გავიდა.

<https://bit.ly/3jXuhlW>

## „მარტივი ლოგიკის“ ახალი ვერსია

პირველმა არხმა პოპულარული ქართული ონლაინთამაშის, „მარტივი ლოგიკის“ ახალი ვერსია გამოუშვა.

<https://bit.ly/3fbzTqw>

## პირველი არხის დაბადების დღე

პირველი ტელემაუწყებლობიდან 66 წელი შესრულდა.

<https://bit.ly/3jVEFKZ>



## ტაიმაუტის დაჯილდოება 2022

30 დეკემბერს ტაიმაუტის ტრადიციული დაჯილდოება 2022 გაიმართა.

<https://bit.ly/3WPh1xY>

## ჯილდო სპორტული ღონისძიებების საუკეთესო გამგებებისთვის

პირველი არხი ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტული ღონისძიებების საუკეთესო გამგებებისთვის დააჯილდოვა.

<https://bit.ly/3igJcHf>

## ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე

საქართველოს პირველი არხი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღეს შეუერთდა.

<https://bit.ly/3VsXi6e>

## ტელევიზიის მსოფლიო დღე

ტელევიზიის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პირველმა არხმა სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.

<https://bit.ly/3U9ZH4J>

## ვიდეორგოლი კლიმატურ ცვლილებაზე

ევროპის მაუწყებელთა კავშირის ვიდეორგოლი კლიმატურ ცვლილებაზე, რომელშიც საქართველოს პირველი არხის ვიდეოკადრებიც არის გამოყენებული.

<https://bit.ly/3VuYPsw>

## „კაფსულა 1956“ კობახის კინოფესტივალზე

პირველი არხის ფილმი „კაფსულა 1956“ კობახის კინოფესტივალზე წარადგინეს.

<https://bit.ly/3AQI3fB>

## „მეოთხე ბრაიტონის“ კიდევ ერთი წარმატება

პირველი არხის თანამონაწილეობით შექმნილი ფილმის, „მეოთხე ბრაიტონის“ კიდევ ერთი წარმატება - ლევან კოლუაშვილი საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრისთვის დაჯილდოვდა.

<https://bit.ly/3WG6tBn>



## ონლაინმედია

პირველი არხის გადაცემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ მედიაპროდუქტი მაქსიმალურად იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი, ტვიტერი, იუთუბი). გარდა ამისა, თითოეულ გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო მასალა. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვა - 10,7 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 590,900; გვერდს დაემატა 9068 მოწონება.

### ფეისბუქ-გვერდი - [ITV.GE.NEWS](https://www.facebook.com/ITV.GE.NEWS)

ვიდეოების საერთო ნახვა - 21,1 მილიონი - წინა კვარტალთან შედარებით ნახვები გაზრდილია 377%-ით; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 413,700 - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 554%-ით. გვერდს დაემატა 863 მოწონება - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 209,3%-ით.

Oct 1, 2022 – Dec 31, 2022 Posted

21.1M

Minutes viewed

▲377% from previous 92 days

5.4M

1-minute video views

▲425% from previous 92 days

17.6M

3-second video views

▲411% from previous 92 days

413.7K

Post reactions, comments a...

▲554% from previous 92 days

12.8K

Net followers


▲292% from previous 92 days



### Minutes viewed

Oct 1, 2022 - Dec 31, 2022

21,050,061 Minutes viewed 4,412,907 Previous period



Show by:


See how your different types of posts are performing

- Organic 100%
- Paid 0%
- Posted 93.9%
- Crossposted 0.62%
- Shared 5.48%
- Followers 6.3%
- Non followers 93.7%
- Live 3.28%
- Video 96.7%




## ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი სკორობი

ვიდეოების საერთო ნახვა - 16,5 მილიონი - წინა კვარტალთან შედარებით ნახვები გაზრდილია 100%-ით; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 697,900 - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 28,4%-ით. გვერდს დაემატა 14 146 მოწონება - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 78,5%-ით.



## ფეისბუქ-გვერდი - სიყვარულს მიღმა


ვიდეოების საერთო ნახვა - 8,1 მილიონი - წინა კვარტალთან შედარებით ნახვები გაზრდილია 1566%-ით; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 237,900 - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 2026%-ით. გვერდს დაემატა 18 910 მოწონება - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 472,3%-ით.






## ფაისბუქ-გვერდი - Voice საქართველო

ვიდეოების საერთო ნახვა - 1,7 მილიონი - წინა კვარტალთან შედარებით ნახვები გაზრდილია 259%-ით; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 115,200 - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 1406%-ით.



## ფაისბუქ-გვერდი - „მასტერხეფი“

ვიდეოების საერთო ნახვა - 28,8 მილიონი - წინა კვარტალთან შედარებით ნახვები გაზრდილია 285%-ით; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 321,300 - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 218%-ით. გვერდს დაემატა 3488 მოწონება - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 122,9%-ით.







## სხვა გვერდები

რაც შეეხება გვერდებს - „ახალი დღე“, „დღის კოდი“, „ამ შაბათ-კვირას“, „აკუსტიკა“, „პირადი ექიმი“, „რეალური სივრცე“, „ფერმა“ არის მზარდი.

ამ გვერდების საერთო ანალიტიკა გამოიყურება შემდეგნაირად:

ვიდეოების საერთო ნახვა - 27,4 მილიონი - წინა კვარტალთან შედარებით ნახვები გაზრდილია 14,7%-ით; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,300,000 - წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია 4,38%-ით.



## ვებ-გვერდი [ltv.ge](http://ltv.ge) სტატისტიკა

IV კვარტალი 2022	III კვარტალი 2022
ვიზიტი ვებ-გვერდზე - 7,448,993	ვიზიტი ვებ-გვერდზე - 5,844,712
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 62,195	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 49,506
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 80,967	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 63,529
მაქსიმალური მაჩვენებელი - 318,282 (12/18/2022) (მრ. ფინალი)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 289,431 (09/23/2022)

## იუთუბარხების სტატისტიკა



IV კვარტალი 2022	III კვარტალი 2022
ნახვა - 47,700,000	ნახვა - 38,000,000
საშუალოდ დღეში ნახვა - 518,478,26	საშუალოდ დღეში ნახვა - 413,040
მაქსიმალური მაჩვენებელი - 634,000 (17 ნოემბერი 2022)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 858,000 (13 აგვისტო 2022)



## TWITTER



მეოთხე კვარტალში პირველი არხის ტვიტერს 91 ახალი გამომწერი შემოემატა. 8,390 იუზერი შემოვიდა პროფილზე და დატვიტული ნიუსი 22,314 ჯერ გამოჩნდა feed-ში.

DEC 2022 SUMMARY		NOV 2022 SUMMARY		OCT 2022 SUMMARY	
Tweets	54	Tweets	63	Tweets	57
Tweet impressions	8,162	Tweet impressions	6,171	Tweet impressions	7,981
Profile visits	2,253	Profile visits	2,702	Profile visits	3,435
Mentions	14	Mentions	21	Mentions	14
New followers	36	New followers	24	New followers	31

## Tik-Tok



პირველი არხი ტიკ-ტოკზე აქვეყნებს მოკლე მონაკვეთებს პირველი არხის სხვადასხვა გადაცემიდან და ქმნის კონტენტს უშუალოდ ტიკ-ტოკის აუდიტორიისთვის.


31 დეკემბრის მონაცემებით, გამომწერების საერთო რაოდენობა არის 38 779.

### Followers ⓘ


**38,779** in total

Net +4,579 in Nov 24 - Dec 31

## აუდიტორია ტიპოვება



## ზოგადი ანალიტიკა





ბოლო ტენდენციით, ყველაზე მეტ ნახვას აგროვებს სერიალის „სიყვარულს მიღმა“ და „ვოისის“ ვიდეოები.

ყველაზე მეტი - 1.2 მილიონი ნახვა დააგროვა სერიალიდან „სიყვარულს მიღმა“ მოჭრილმა ერთ-ერთმა მონაკვეთმა.

რაც შეეხება ვიდეოების ნახვებს, იწყება 10K-დან და აღწევს 600K-ზე მეტს.

## Instagram

პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ჰყავს 39 075 გამომწერი.

პოპულარულია „ვოისის“, „სიყვარულს მიღმას“ მონაკვეთები.


მაგ. სერიალის „სიყვარულს მიღმა“ ერთ ვიდეოს ინსტაგრამ რილსში 1.1 მილიონი ნახვა აქვს.

ინსტაგრამ რილსში ყველაზე მეტი ნახვა - 5 მილიონი.



## ზოგადი ანალიტიკა - 26 ოქტომბერი-31 დეკემბერი

ინსტაგრამ კონტენტის მიღწევადობა - კონტენტის დიდ ნაწილს ნახულობენ არაგამომწერები, რაც განპირობებულია Explore Page-ზე პირველი არხის პოსტების გამოჩენის სიხშირითა და რილსებში ვიდეოების წარმატებული Performance-ით.






## ITVPLAY

- ამ პერიოდში ჩამოიწერა 32 ათასმა ახალმა მომხმარებელმა;
- კვარტლის განმავლობაში მოიხმარა 49 ათასმა ადამიანმა;
- AET (აპლიკაციაში გატარებული საშუალო დრო) - 3 საათი და 30 წუთი.
- 2022 წლის 1-ელი იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გადმოწერილი აქვს 79 000 მომხმარებელს.

## დემოგრაფია

- ტოპ 5 ქვეყანა - საქართველო, გერმანია, აშშ, საფრანგეთი, იტალია;
- ძირითადი ასაკი 18 - 25 და 25-35;
- 50,3% ანდროიდის მომხმარებელი, 49,7% IOS.





იურიდიული სამსახურის  
**ანგარიში**



## 1. ხელშეკრულებების შესახებ

2022 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 217 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

## 2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

### 2.1.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2022 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	<b>საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო</b>	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<ul style="list-style-type: none"> <li>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</li> <li>_ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</li> <li>- სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით.</li> <li>- ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს საკითხს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ.</li> </ul>
2.	<b>ფ/პ ავთანდილ ძიძიგური</b>	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
3.	<b>შპს “სტედია ფონოგრაფი“</b>	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	<ul style="list-style-type: none"> <li>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</li> <li>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</li> <li>_ სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა</li> </ul>
4.	<b>ალექსანდრე ჯანდიერი</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<ul style="list-style-type: none"> <li>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</li> <li>- ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილების თანახმად, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისი პირობები, ასევე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</li> <li>- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</li> </ul>
5.	<b>ალექსანდრე ჟღენტე</b>	საავტორო უფლებების აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	<ul style="list-style-type: none"> <li>_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში</li> <li>- მოსარჩელის გარდაცვალების გამო, სასამართლოს განჩინებით ამ ეტაპზე საქმის წარმოება შეჩერებულია.</li> </ul>



6.	<b>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია</b>	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
7.	<b>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია</b>	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	_ მოცემულ საქმეზე სსიპ “საზოგადოებრივი“ მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
8.	<b>ანა ტურაბელიძე</b>	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა, რაზეც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ შეტანილია ფორმალური სააპელაციო საჩივარი. ამ ეტაპამდე (ერთ წელი და ექვსი თვეა გასული) სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მზად არ არის და შესაბამისად, არც ჩაბარება საზოგადოებრივ მაუწყებელს. შესაბამისად, გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი.
9.	<b>ღონარა შონავა</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
10.	<b>გიორგი სუხიტაშვილი</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _ მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც საქმის განხილვა დასრულებულია და გადაწყვეტილების გამოცხადება გადაიდო 2023 წელს
11.	<b>მარიამ სონიშვილი</b>	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
12.	<b>დადი ბარაბაძე</b>	ზიანის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _ მოსარჩელემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი და საქმე ამჯამად განიხილება სააპელაციო სასამართლოში
13.	<b>ირაკლი აბსანძე</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. _ მოსარჩელის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში
14.	<b>იმედა დარსალია</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში



15.	<b>თამთა ვანაძე</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
16.	<b>სოფიო ზედელაშვილი</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
17.	<b>არაზ მამოვი</b>	დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და ხელფასის გათანაბრება თავდაპირველ ანაზღაურებასთან	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
18.	<b>ნეგზარ ჩხაიძე</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საზოგადოებრივ მაუწყებელს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, ნ. ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.</p>
19.	<b>ქეთინო დეკანოზიშვილი</b>	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა მხარეთა სააპელაციო საჩივრები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნა საკასაციო საჩივარი, რომელიც განუხილველად იქნა დატოვებული.</p> <p>შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა სარჩელი მხოლოდ სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, რაც სრულად დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა დასრულებულია და გადაწყვეტილების გამოცხადება გადაიდო 2023 წელს</p>





2.2

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩლებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2022 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საემის წარმოების სტადია
1.	<b>შპს “პრაიმ თაიმი“</b>	24 633,81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება	_ საქმეზე შპს “პრაიმ თაიმი“-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულია მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება
2.	<b>ა(ა)იპ “ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი“</b>	მოპასუხის მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ გავრცელებული არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების/უარყოფის დაკისრება მოპასუხისთვის	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დაევალა თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს შემდეგი სახის ინფორმაცია: ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი“ სარეკლამო/სასპონსორო დროს ყიდის მუშავალი კომპანიების საშუალებით, სინამდვილეს არ შეესაბამება.
3.	<b>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო</b>	ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა	_ სასამართლოს 20.11.2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელს“ ჩაბარდა მხოლოდ 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. თუმცა, ამ ეტაპამდე (გასულია ერთი წელზე მეტი), უცნობია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის საჩივართან დაკავშირებით.

2.3.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩლებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააღსრულებო ფურცლები (და შესაბამისად, სასამართლო წარმოება დასრულებულია) მოვალეების: შპს “კიკალა სტუდიო ტვ“-ს, შპს “ნიუ-რაციოს“, შპს “ეი-სი ჯგუფი“-ს, “სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი“-ს, შპს “ფენიქსის“, შპს “კინოსტუდია სანგუკო“-ს, შპს “რაქი“-ს, შპს “ლაივ პრომო“-ს, შპს “ტელე-რადიოკომპანია ტვ-7“-ის, შპს “ნონემ სტუდიო“-ს, შპს “მილ ჰოინტი“-ს, შპს “ნ და გ კომპანის“, შპს “S.T. იმპორტი“-ს, შპს “აიბი გრუპი“-ს, შპს “მედია ჯგუფი“-ს, შპს ტელეკომპანია “პიკ“-ის, შპს “საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე“-ს, შპს “საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი“-ს, შპს “ამპლიტუდა“-ს, შპს “გრინ ბილდინგი“-ს, შპს “კრეატივ ქორნერი“-ს, შპს “დუტა პროდაქშენ“-ის, შპს “ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი“-ს, ა(ა)იპ “საკალათბურთო კლუბი ვითა“-ს, შპს “პიართაიმი“-ს, შპს “ბიოფედკორჯია“-ს, ა(ა)იპ “ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ“, შპს “ტიფლის ტვ“-ის, შპს “რადიო უცნობის“, შპს “Georgian Water & Company“ და შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიმართ (თუმცა, შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააღსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს “სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).



- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში ასევე საქმე გადახდის უნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს “სქაი ჯორჯია“-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდის უნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნას სიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს “სქაი ჯორჯია“-ს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ შპს “სქაი ჯორჯია“-სთვის **14 318,01 ლარის** დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს “სქაი ჯორჯია“-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დანიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს “სქაი ჯორჯიას“ მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე**.

სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.

2021 წლის 14 ივლისს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და იმ მოტივით, რომ ვერ იქნა მოძიებული, თუ რა აქტივები გააჩნია შპს “სქაი ჯორჯიას“, აქტივების მოძიების მიზნით, კრება გადაიდო განუსაზღვრელი ვადით.

### 3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2022 წლის მე-4 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ შემოვიდა 7 განცხადება, საიდანაც 5 განცხადება დაკმაყოფილდა, 1 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო 1 განცხადება არ დაკმაყოფილდა.

### 4. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

#### ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2022 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

#### ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქვევის კოდექსის“ საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2022 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

# ანგარიში



საზოგადოებრივი მაუწყებლის  
2022 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის  
შესრულების შესახებ



## ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2022 წლის IV კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 19,138,785 ლარი.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2022 წლის IV კვარტლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 62,256,435 ლარი. აქედან, 17,464,000 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო - 44,792,435 ლარი - კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2022 წლის IV კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეული ჯამური საკასო ხარჯი შეადგენს 24,404,620 ლარს.

2022 წლის IV კვარტლის დასაწყისში მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 16,766,607 ლარს, წლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 54,618,422 ლარი.

2022 წლის IV კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:


ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
სამეურვეო საბჭო	261,949	212,724	49,225	81.2%
გენ.დირ. და დაქვ.სამს	787,454	972,314	(184,860)	123.5%
ახალი და მიმდინარე ამბები	3,091,283	3,446,689	(355,406)	111.5%
მედია	5,074,664	5,565,333	(490,670)	109.7%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	3,019,939	3,463,474	(443,535)	114.7%
